

რა მომავალი ედის ბიტკოინს?

✘ გასულ წელთან შედარებით, ბიტკოინის ღირებულება 250%-ით არის გაზრდილი, თუმცა უკანასკნელ პერიოდში მისმა ღირებულებამ არაერთი რყევა განიცადა. ცნობილი გამოცემის, Business Insider-ის მიხედვით, ბიტკოინის სამყაროში სამოქალაქო ომი მიმდინარეობს, რაც ყველაზე ცნობილი კრიპტოვადრუტის მომავალს კითხვის ქვეშ აყენებს.

კომპანია Bitmex-ის გენერალური დირექტორის, ართურ ჰეისის განცხადებით, ბიტკოინის ფასის მერყეობა ზუსტად ასახავს იმ გაურკვეველ მდგომარეობას, რომელიც აღნიშნულ „ომს“ ახდავს თან. საბოლოო გადაწყვეტილება 1-ედ აგვისტოს იქნება მიღებული, როდესაც კრიპტო-ვადრუტის ბროკერები განსაზღვრავენ, თუ როგორ იქნება ბიტკოინის მთავარი ძარის მიმცემი, ბლოკჩეინის ტექნოლოგია სტრუქტურირებული.

ბიტკოინთან დაკავშირებული ბრძოლა შემდეგ საკითხს უკავშირდება. „ბლოკებს,“ რომლებიც ბლოკჩეინში ინფორმაციის მატარებლები არიან. მათ მოცულობა 1 მეგაბაიტამდე აქვთ დიმიტირებული. ამ გზით ხდება ბლოკჩეინის თავდაცვა ჰაკერების თავდასხმისგან, თუ სხვა კიბერუსაფრთხოების საფრთხეებისგან. კრიპტოვადრუტის მომხმარებელთა რაოდენობის მატების შედეგად ტრანზაქციის დროც გაიზარდა. შედეგად, ბიტკოინ ტრანზაქციები უფრო ძვირადღირებული გახდა, რაც საინვესტიციო ბანკის, Morgan Stanley-ის მიხედვით, ბიტკოინის, როგორც გადახდის ფორმად მიღებას ხელს უშლის.

ბიტკოინი ქათმისა და კვერცხის დიღემის წინაშე დგას. მომხმარებლებს არ აქვთ ბევრი შესაძლებლობა, გამოიყენონ თავისი ბიტკოინები; სერვისებისა თუ საქონლის გამყიდველებს კი არ ჰყავთ საკმარისი რაოდენობის, ბიტკოინით გადახდისათვის მზადყოფნაში მყოფი მომხმარებელი, შესაბამისად, მათ არ უღირთ, დახარჯონ დრო და ენერჯია ბიტკოინის მიღებისათვის

„ერთი მხრივ ჩვენ ვხედავთ ადამიანებს, უმეტესად მაინერებს (ის, ვინც მოიპოვებს ბიტკოინს), რომლებიც ფიქრობენ, რომ „ბლოკების“ მოცულობა უნდა გაიზარდოს, რადგან ეს ფინანსურად უფრო მომგებიანი

იქნება. მეორე მხარეს კი ვხედავთ ადამიანებს, რომლებსაც სტატუს კვოს შენარჩუნება სურთ, რათა ბიტკოინი კვდავ დაცულობასა და უსაფრთხოებასთან ასოცირდებოდეს,” განაცხადა მონაცემთა ანალიტიკოსმა, პოლ მაკნიღმა.

commercant.ge